



მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000062125990320

№ ს-561

13 / მარტი / 2020 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში საგანგებო რეჟიმის ამოქმედების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის #529 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში ამოქმედდეს საგანგებო რეჟიმი და გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) სამსახურში არ გამოცხადდეს ის საჯარო მოსამსახურე და პოლიტიკური თანამდებობის პირი:

ა.ა) რომელიც საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის #529 განკარგულების ძალაში შესვლამდე 7 კალენდარული დღის განმავლობაში იმყოფებოდა კორონავირუსის მაღალი გავრცელების ქვეყნებში ან მოემგზავრება ასეთი ქვეყნების გავლით - საქართველოში დაბრუნებიდან 2 კვირის განმავლობაში;

ა.ბ) რომელიც საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის #529 განკარგულების ძალაში შესვლის დროისთვის ან შემდეგ იმყოფება კორონავირუსის მაღალი გავრცელების ქვეყნებში - საქართველოში დაბრუნებიდან 2 კვირის განმავლობაში;

ა.გ) რომელსაც კონტაქტი ჰქონდა იმ პირთან, რომელსაც დაუდგინდა კორონავირუსი;


ბ) ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულმა პირმა 2 კვირიანი პერიოდი გაატაროს თვითიზოლაციაში, თვითიზოლაციის წესების დაცვით და აღნიშნულის თაობაზე დაუყონებლივ აცნობოს პირველადი ან მეორადი სტრუქტურული ერთეულის უშუალო ხელმძღვანელს;

გ) ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულმა პირმა დაუყონებლივ აცნობოს პირველადი ან მეორადი სტრუქტურული ერთეულის უშუალო ხელმძღვანელს რისკგუფში შემავალ პირებთან კონტაქტის შესახებ და გადავიდეს თვითიზოლაციის რეჟიმში;

დ) ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულმა პირმა შესაძლებლობის შემთხვევაში სამუშაო შეასრულოს დისტანციურად, უშუალო ხელმძღვანელის მიერ გაცემული დავალებების შესაბამისად;

2. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულმა პირმა მწვავე რესპირაციული დაავადების სიმპტომის არსებობის შემთხვევაში, მიმართოს ექიმს და აცნობოს აღნიშნულის შესახებ მერიის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას, პირველადი ან მეორადი სტრუქტურული ერთეულის უშუალო ხელმძღვანელს და საჭიროების შემთხვევაში, გადავიდეს თვითიზოლაციის რეჟიმში.
3. მაქსიმალურად შეიზღუდოს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქალაქეთა მიღება, სამუშაო სივრცეში გადაადგილება. მოქალაქეებს პირადად მერიის თანამშრომლის მიერ კონსულტაცია გაენიოთ მხოლოდ განსაკუთრებულ, აუცილებლობიდან გამომდინარე შემთხვევებში, რა დროსაც მერიის თანამშრომელი ვალდებულია გამოიყენოს პირბადე, ერთჯერადი ხელთათმანი, სადებიზფექციო საშუალება და დაიცვას მოქალაქეებთან დისტანცია.
4. მერიის თანამშრომლებმა, რომელიც პასუხისმგებელი არიან დოკუმენტაციის მიღებაზე, ასევე, დაიცვან ბრძანების მე-3 პუნქტში მითითებული წესი.
5. მერიაში მოქმედმა ყველა კომისიამ სხდომის ჩატარება უზრუნველყოს მოქალაქეთა მონაწილეობის მაქსიმალური შეზღუდვით, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით.
6. შეიზღუდოს თანამშრომელთა მივლინებები, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.
7. სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს დაევალოთ განსაზღვრონ იმ პირთა ჩამონათვალი, რომელიც ისარგებლებენ სამსახურში მოსვლასთან დაკავშირებით შეღავათით და სამუშაოს შეასრულებენ დისტანციურად.
8. დისტანციურ სამუშაო რეჟიმში გადასვლა არ გულისხმობს სამუშაო საათების შემცირებას და თანამშრომელთა შვებულებაში ყოფნას. საჭიროების შემთხვევაში, დისტანციურ სამუშაო რეჟიმში გადასული თანამშრომელი სამსახურში უნდა გამოცხადდეს დაუყოვნებლივ მოთხოვნისთანავე.
9. ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევებში, თანამშრომლის მიერ სამსახურის გაცდენა ითვლება საპატიოდ და მას უნარჩუნდება შრომის ანაზღაურება.
10. მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირებმა, თანამდებობის პირებმა და ყველა საჯარო მოსამსახურემ მკაცრად დაიცვას ზემოჩამოთვლილი წესები და რეკომენდაციები.
11. მერიის პიარისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას დაევალოს მერიაში განსაკუთრებული რეჟიმის ამოქმედების შესახებ საზოგადოების ინფორმირება.
12. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. #17) გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად 

გიორგი კაპანაძე